

# შემრევ-ჩამოსასხმელი აპარატი

## პრე-საბაკალავრო ნაშრომი (ანოტაცია)

### ავტორები:

დომიტრი ფანჯაკიძე

გიორგი არმენაძე

გიორგი ომანაძე

მარიამ გელშვილი

### ხელმძღვანელი:

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ შერმაღანი

ჩვენი პროექტის მიზანია შევქმნათ შემრევ-ჩამოსასხმელი აპარატი, რომელიც იმუშავებს რამდენიმე რეჟიმში და სასურველ პარამეტრების არჩევის შედეგად შესაბამისი დასახელებისა და კონცენტრაციის სითხეს ჩამოგვისხამს. პროექტი განკუთვნილი იქნება სითხეების ზუსტი დოზირებისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც ავტომატური შერევისა ან/და განაწილების სისტემებში, ისე სასწავლო მიზნებისათვის.

სითხეების დოზირების სისტემები ფართოდ გამოყენებადია მრავალ ინდუსტრიაში - ფარმაცევტიკა, საკვები პროდუქტების წარმოება, ლაბორატორიული პროცესები და ა.შ. ჩვენს პროექტში წარმოდგენილია კომპაქტური, ბიუჯეტური და მომხმარებელზე მორგებადი მოწყობილობა, რომელიც ერთი ან ორი სითხის დოზირებისთვის იქნება განკუთვნილი.

ვფიქრობთ ეს პროექტი პრობლემების ერთად, გუნდურად აღმოჩენა/აღმოფხვრის, სიახლეების ცდისა და ამ ცდების პერიოდში განვითარების დიდ საშუალებას მოგვცემს. ჩვენი მიზანია დავდოთ ხარისხიანი შედეგი, რაც ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იქნება ჩვენი მომავალ საქმიანობის სფეროში წარმატებულ მოღვაწეობისთვის.